ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2864418

ნომერი: AR1442583

თარიღი : 22.09.2016

გაცემის თარიღი : 29.09.2016

გაცნობის თარიღი : 29.09.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ევდოშვილი , N 20 / ქალაქი თბილისი , ევდოშვილისა და სოხუმის ქუჩებს შორის (ნაკვეთი 10/021)/ ქალაქი თბილისი , სოხუმის ქ. N7-ის მიმდ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ქანთარია პ/ნ 01017015785
- თბილისი ვარკეთილი 3 II მ/რ კორ. 25ა ბ. სხვ.ს.

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : #2215987
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 30.09.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. წარმოდგენილ იქნას უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა ზურაბ ქანთარიას სახელზე;
2. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 24/06/2016 წლის №ბ-201735/12 ბრძანებაში ექსპლუატაციაში უარის თქმის შესახებ აღნიშნულია, რომ შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა - შემცირებულია გამწვანების ზოლების ფართი და არ არის მოწყობილი გამწვანება; არ არის დასრულებული ავტოფარეხის სამშენებლო სამუშაოები და გაბარიტებია შეცვლილი;

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურითვის განხორციელებული მშენებლობის დადასტურების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული აქტი, შესაბამისად, საჭიროა მოაწყოთ გამწვანების ზოლები და დაასრულოთ ავტოფარეხის სამშენებლო სამუშაოები;

მას შემდეგ რაც გამოსწორდება ხარვეზი, საჭიროა ჯერ ზედამხედველობის სამსახურს მიმართოთ - ბრძანების აღნიშნულ ნაწილში ცვლილების შესატანად და შემდეგ მომართოთ არქიტექტურის სამსახურს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.